№ 195. 19 სეკდემბერი, შაბათი. 1866—1881 19 სეკდემბერი, შაბათი. № 195.

რედაქცია

გალაკტიონის პრეზიდენტი. ი. მუხრანელის ხახლები ... ქალაქის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თელავში „დროებაზე“ „ივერიაზე“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებაზე“-„ივერიაზე“ აგენტთან ი. ჭელიძესთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“ და „ივერია“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „ივერია“	7 მან.	4 მ.	2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვეულებრივის ასი მოკრძალებული ასოზე ნახევარი კაპ. — წვეულებრივის ასოთ ასოზე შეთხზული კაპ.

თუ ხანგრძლივი მოითხოვენ, რედაქცია გასწორებულს და შეამოკლებს დანაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაბეჭდილ წერილს რედაქცია ფოსტით კვლ დაუბრუნებს აგტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაზე“-„ივერიის“ აგენტთან.

ეკლესიაშერი „დროებაზე“ დიდს 5 კაპ.

საავაჭრო სახლი

„ძმათა კ. და ს. პაპოვებისა“

მოსკოვში

ქანტორა იმყოფება ქუზნეცის ხიდზედ, კ. ს. პაპოვის სახლებში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ფირმის ჩაის საავაჭროთ, გავმართეთ საკუთარი მაღაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

ხარკოვში—პენგროვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.
თბილისში—ბალავინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში.
სებასტოპოლში—ბალშაია მარსკაიას ქუჩაზე, ვაჭრის ქოგენის სახლში.

როგორც ამ მაღაზიებში, აგრეთვე **პეტერბურღში, ვარშავაში** და **კიევში** ჩვენ მაღაზიებში, ჩაი აწონილია გირვანქებათ, ნახევარ და მეოთხედ გირვანქებათ და გაიგზავნება ყოველგან უმთავრესი მაღაზიიდამ, რომელიც იმყოფება მოსკოვში ქრასნოსელსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. (30—19)

ტელეგრამები

(„ხალხისა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსა“)

პეტერბურღი, 16 ენკენისთვეს. სახელმწიფო საქმეთა მინისტრის განკარგულება კავკასიის უმთავრეს მმართველობას. ფილოქსერის კომიტეტმა დადგინა გასინჯოს ყველა გენახები, წამლოს ავათმყოფი გაზები, გაკეთოს ისეთი ადგილები რაც ავათმყოფობას არ შეეძლოს მიდგომა, ადეკრძალოს ბადის მეშატრონეებთ ფილოქსერის კომიტეტის გარდაწყვეტილების გარეშე სწამლოს გაზები, ადეკრძალოს სეიდვა და გასეიდვა გაზებისა და სხვა ხეხილების იმ ადგილებში, ს

ჩვენი მამულის-შვილები; დროთა-ვითარება ცივ-ნაკარს აყრის მათ თავზედ; მემრე ოდესმე მათის საშუალობით ხელ-ახლათ აინთება ჩვენი ცხოვრება!.. ისინი არიან ნასკვი, ჩვენის წასულისა და მომავალის შემაერთებელი.

„მათი მაგალითის მიმცემი და მამათ-მთავარი, არის, დღეს აქ მყოფი, ჩვენი სასურველი სტუმარი—ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲔᲡᲔᲡ-ᲫᲔ ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ და ხანგრძლივი იყოს მისი სიცოცხლე, რომ მოესწროს ჩვენის სამშობლოს აჰყვავებასა და დაგვირგვინებას, და დღეს კი ნიშნად და წინასწარად იმ ბედნიერის დღისა მიიღოს ჩვენგან ეს ყვავილების გვირგვინი!..

ხანგრძლივი ტაშის კვრა, ბრავოს ძახილი და პირუთნელი აღტაცება აღძრა დამსწრე ხალხში ამ ჩინებულმა სიტყვამ.

ᲐᲛᲐᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ თვითონ ᲩᲣᲑᲘᲜᲐ-ᲨᲕᲘᲚᲛᲐ განაცხადა სიტყვის თქმის სურვილი და იმწამსვე მყუდროება ჩამოვარდა. ᲞᲐᲢᲘᲕ-ᲪᲔᲛᲣᲚ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲔᲡᲔᲡ-ᲫᲘᲡ სიტყვის შინაარსი იყო მადლობის გადახდა ამ პატივის-ცემისთვის, რომელსაც მე დღეს ველირსე თქვენგანაო. მე რაც შემეძლო და რამდენიც შემეძლო, ვიშრომე და ვიღვაწე ჩვენი ქართული ენის აღსადგენად და გასამდიდრებელათაო და ახლა ის იმედი მანუგეშებსო, რომ ჩემს შემდეგაც რჩებიან უმაწვილი კაცები, რომელნიც განაგრძობენ ჩემს მცირე შრომას და ეცდებიან მკვიდრ საძირკველზე დააყენონ ჩვენი მწერლობისა და მწიგნობრობის საქმე. მე დავდგი ბოძები და თქვენი, ახალ-თაობისა, მოვალეობა არისო, რომ ამ ბოძებზე აგოთ მაგარი შენობა სამშობლო ლიტერატურისა.

ᲢᲐᲨᲘᲡ კვრით დააგვირგვინეს ეს ჭკვიანური სიტყვა ბატ. ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

შემდეგ ბატ. ᲕᲚ. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔᲛ აიღო სტაქანი და ორიოდე სიტყვა სთქვა აგრეთვე ბატ. ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ მიმართ: თქვენ ყველა ჩვენში აღძრით სამშობლო ენის სიყვარული და მე ვითარცა მასწავლებელი, ჩემს ვიწრო ასპარეზზე ვცდილობო, რომ იგივე გრძნობა, იგივე სამშობლოის სიყვარული აღვძრა ჩემს მოწაფეებშიო და სხვ.

ბატ. მიქელაძეს შემდეგ ილაპარაკა თ. ᲕᲐᲡ. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲛᲐ ბატ. ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ლიტერატურულ დამსახურებაზე და განსაკუთრებით იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც ჩვენი ენის შესწავლაში აქვს იმის ლექსიკონს. ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘᲡ შედგენა მეცნიერული შრომა არ არისო, სთქვა ბატ. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲛᲐ, მაგრამ ეს მაინც დიდი და ფრიად საკარგებლო შრომა არისო და ამ შრომისათვის ბატ. ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ღრმა პატივისცემისა და მადლობის ღირსიაო.

ბატ. ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔᲛ წარმოსთქვა ტოსტი ორი პოეტის სადღეგრძელოთ, რომელნიც ჩვენ შორის სცხოვრებენო, რომელნიც ეს ოც-და-ხუთი წელიწადია ილვწიან სამშობლო ლიტერატურის ასამაღლებლად და რომელთაც არა ერთი ჩინებული გრძნობა და აზრი დაბადეს ჩვენშიო. ᲘᲡᲕᲐᲛ სადღეგრძელოს თ. ᲐᲙ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ და თ. ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐᲝ.

Თ. ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ხელ-მეორედ წამოდგა და ამ სადღეგრძელოს შესახებ, სთქვა შემდეგი პირველზე არა ნაკლებ მოხდენილი სიტყვა:

„ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ!

„ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡ გადახდამდე, ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვის თქმის!

„ᲩᲔᲛ სიჭაბუკიდამ დაწყებული, აქამომდე, როდესაც ჭალარა გამომერია, ბედ-უკულმართობა ისეთ ბორბალს ატრიალებდა ჩემს თავზედ და ისე ხელ-ფეხ-შეკრული ვყოფილვარ დროთა-ვითარებისაგან, რომ ჩემს ნდომისა და შეძლების არა თუ მეასედი, მეათასედიც არა მიმსახურნია-რა ჩვენის სამშობლოსათვის!

„ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ მხოლოდ ესა ვსთქვა თამამად, რომ როგორც ქართველს, გული არ გამტეხია და სურვილი არ გამგრილებია და თუ ოდესმე მომავალში ბედის ვარსკვლავი ჩემთვისაც გამოჭიატებს, იმედი ძაქვს სურვილი გავახორციელო და სიტყვაც საქმეთ გადავაქციო. ᲛᲐᲨᲘᲜ, მხოლოდ მაშინ მე შემეძლება მივიღო ის სადღეგრძელო და ის პატივი, რომელსაც დღეს მე თქვენ მანიჭებთ, და მანამდე-კი, ჯერ, ნება მომეცით გადაულოცოეგ ჩემდამო მომართული სადღეგრძელო იმათ, ვინც ჩემზედ ბედნიერი ყოფილან, მითი რომ სამსახური შეძლებიათ სამშობლოსი და უფრო ბევრი ღვაწლი მიუძღვისთ.

„ᲑᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ იმ ჩემ ტოლებს და ჩემ წინანდლებს, რომელთაც ქვეყნისათვის უშრომიათ!.. ᲑᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ იმ მომავალ-თაობას, რომელიც საზოგადო საქმეს, თავის საკუთარ-საპირადო საქმეზედ წინ აყენებენ. Და გაუმარჯოს მანამდი, სანამ სწორი გზიდამ არ გადაუხვევიათ!..

„ᲔᲡ საზოგადოთ... Და კერძოთ გაუმარჯოს ჩვენ სტუმრებს ᲘᲚᲘᲐ ᲝᲚᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ და ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲪᲐ�გᲐᲠᲔᲚᲡ, რომელთაც უცხო ქვეყნის სიცივემა და ყინვებმა ვული ვერ გაუგრილეს ჩვენის ქვეყნისადმი!—ხანგრძლივი იყოს და ნაყოფიერი მათი შრომა!“

ᲐᲛ სიტყვის შემდეგ წამოდგა ბატ. პროფესორი ᲘᲚᲘᲐ ᲝᲚᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ და გრძნობით წარმოსთქვა, რომ, თუმცა ეს ოც-და-ორი წელიწადია, რაც მე ჩემ სამშობლოს მოვშორდი და რუსეთში ვცხოვრობო, მაგრამ, როგორც თ. ᲐᲙᲐᲙᲘᲛ ირძანა, რუსეთის ყინულს არ გაუყინავს ჩემი გული და დღემდინ ჩემი ნატერა და სურვილი ეს არის, და იმედი მაქვს სიკვდილამდინაც ეს იქნებაო, რომ რითაც შემეძლება, ზნეობით თუ ნივთიერად დავეხმარო ამ ჩემს ქვეყანასაო.

ბრავო, ტაშის კვრა და თანაგრძნობა.

ᲐᲛᲐᲡ გარდა ბევრი სხვა სიტყვა წარმოითქვა და ბევრი სადღეგრძელოები შეისვა, სხვათა შორის, „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ რედაქტორის, თ. Დ. Ბ. ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, Პ. Ი. ᲨᲐᲠᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ქართულ ტრუპპის წარმომადგენლებისა და სხვების სადღეგრძელო.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ რვა საათზე პატივცემული პროფესორები Დ. ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ და Ა. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ გამოეთხოვენ საზოგადოებას, რადგან ამ საღამოს ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲐᲠᲮᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ წევრთათვის განსაკუთრებული წარმოდგენა იყო გამართული სომხურს ენაზედ.

ᲐᲚᲐᲧᲐᲤᲘᲡ კარებთან, გამოთხოვების დროს, თ. ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲛ შემდეგის სიტყვებით გამოესალმა პატივცემულს ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲡ.

„ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ სასიქადულო და თქვენთვის სასიხარულო უნდა იყოს, რომ დღეს თქვენმა სახელმა შეგვყარა ჩვენ ერთად პატივის საცემად საზოგადოებრივის მოღვაწეობისა. ᲮᲨᲘᲠ ᲘᲥᲜᲐᲡ ჩვენში საზოგადოებრივნი მოღვაწენი და ღირსეული ჯილდო მათი ჩვენი მადლობით სავსე გული იყოს“.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲘᲚ. ᲝᲚᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ და დანარჩენი საზოგადოება დარჩნენ და ლამის მეთერთმეტე საათამდინ აჰ შეკრებილებაში ტკბილი საუბარი, ქართული სიმღერები, ჭიანური, ლეკური და მხიარულება არ შეწყვეტილა.

მეთერთმეტე საათზე საზოგადოება დაიშალა. Ყველა სიამოვნებით დაბრუნდა შინ, კმაყოფილი კარგათ დროს გატარებისათვის და ყველას ის გრძნობა გაჰყვა თან: კარგი იქნებოდაო, რომ ამ გვარი შეკრებილება საუკეთესო ქართველთა ასე იშვიათი არ იყვეს ჩვენშიო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

ჩვენი პატივცემული ისტორიკოსი Დ. Ზ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ ამ ქამად ისე კარგათ არის, რომ, ღვთით, საშიშო არა უჭირს-რა, თავისუფლად ლაპარაკობს და მოძრაობს. ᲨᲥᲘᲛᲘ (ჩვენებური ექიმი-ბაჭიაშვილი) იმედს იძლევა, რომ ორ-სამ კვირაში სრულიად განვათავისუფლებდა ფეხზე წამოვაყენებო

* * *

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ რდალურ სასწავლებლის წლიურ აქტის თაობაზე ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშნვა გაზეთში დასაბეჭდათ:

„ᲐᲛ ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 13-Ს, დილის თორმეტ საათის ნახევარზედ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ რეალურ სასწავლებელში იყო დანიშნული წლიური აქტი, რომელზედაც იყვნენ მოწვეულნი, როგორც მშობლები მოსწავლეებისა, აგრეთვე გარეშე პირნიც. Დანიშნულს დროს ბლომათ მოვიდა ხალხი, გაივსო ზალა მორთული ღირსეულად სხვა-დასხვა სურათებითა და ყვავილებითა.

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ საათის ნახევარზე მოგრძანდა მზრუნველი კავკასიის სასწავლებლების მაზრისა ბ. ᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ. მას დახვდა მოსწავლეებისაგან შემდგარი ხორა და ივალობეს რუსულათ „მეუფეო ზეკათაო“. Დირექტორმა ამ სასწავლებლისა, ჩვეულებისამებრ, წაიკითხა წლიური ანგარიში. შემდეგ ერთმა მასწავლებელთაგანმა წაიკითხა მომზადებული ლექცია რუსის მწერლის ᲚᲝᲛᲝᲜᲝᲡᲝᲕის ცხოვრებაზედ. ᲐᲛᲐᲡ მოყვა დაჯილდოება ზოგიერთ შაგირდებისა. Დიდი ყურადღება დამსახურა სასწავლებლის ხორამ; იმღერეს ენტრაქტებში „ᲨᲐᲣᲡᲢᲘᲠᲓᲐᲛ“ ჩინებულად, „Боже царя храни“ და აგრეთვე სხვა ოპერიდამ, ესე რომ გალობის მასწავლებელმა ბ. ᲙᲝᲚᲩᲘᲜᲛᲐ ღირსეული მადლობა მიიღო მაყურებლებისაგან.“

* * *

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ ამ ორი წლის წინათ სოფ. ᲫᲐᲕᲗᲘᲡ ხევში გახსნილი საამხანაგო დეპო (ომმხმარებელთა საზოგადოების დუქანი) უკვე დაუკეტიათ. ᲐᲛ სამწუხარო ამბის მიზეზს ჯერ-ჯერობით არ გვაცნობებენ.

* * *

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვწერენ შემდეგ ეპიზოდს არხეოლოგიურ კრების იქ მყოფობისას:

„ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡ სტუმრებისაგან არ დარჩენილა უნახავად არც ჩვენი მხარე. ᲑᲔᲚᲐᲗᲘᲡᲐ და მოწამეთას დათვალიერების შემდეგ გამოჩენილმა მეცნიერმა და სემიტელთა ენების პროფესორმა ბატ. ხვოლსონმა ინარულა აქაური ებრაელების საზოგადოება და აგრეთვე დაათვალიერა მათი ხელთნაწერი „ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ“ (მოსეს ხუთი წიგნი). შემდეგ ამისა რაბინმა პარაკლისი გადიხადა ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ და კერძოთ აკურთხა ხვოლსონი, როგორც წარმომადგენელი ებრაულის ენისა.

„ᲠᲐᲑᲘᲜᲗᲐᲜ მუსაიფის დროს გამოვიდა ერთი ახალგაზდა, მოწითანო პირის მექონი ხახამი ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲝᲡᲔᲡ-ᲫᲔ ᲠᲘᲭᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რომელიც ებრაულად მიესალმა პროფესორს და წარმოსთქვა მჭევრმეტყველურად და მკაფიოდ ებრაულსვე ენაზედ სიტყვა. ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ გააკვირვა მისმა საუბარმა და უფრო დაკვირვებითი ყურადღება მიაქცია; არ ეგონა, თუ აქაურ საზოგადოებაში, რომელსაც არავითარი გაგება არა აქვს სკოლისა და განათლების მნიშვნელობისა, გამოჩნდებოდა ებრაულის ენის არა-ნაკლებ ევროპიელ სწავლულებზე მოლაპარაკე პირი. ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲐᲚᲣᲠᲘ მოვლენებაა აქაურ საზოგადოებაში. ხახამმა გამოუცხადა პროფესორს საზოგადოების პირით დიდი თანაგრძნობა მის მოღვაწეობისათვის სასარგებლოდ ებრაულის ერისა და ნამეტურ მის უკანასკნელ თხზულებისათვის, რომელიც დასწერა მან ᲚᲘᲣᲢᲔᲡᲢᲐᲜᲡᲙᲘᲡ წინააღმდეგ. ᲐᲛ ახალგაზდა ხახამმა პროფესორი თითქმის ნახევარ საათამდე შეიქცია ლაპარაკით და ბოლოს ბ. ხვოლსონმა დიდის ალერსითა სამჯერ ხელის ჩამორთმევით უთხრა ხახამ: „—ᲘᲐᲨᲐᲠ ᲥᲝᲮᲐᲮᲐ“, რომელიც ჩვე-

ნებურად ნიშნავს „შენმა ჯანმა გაიხაროსო“ და გამოეთხოვა.

ბ. მ.

„დროების“ კორრესპონდენციები

—

სოფ. სურები, 8 სექტემბერს. სოფელი სურები შეადგენს ერთ საზოგადოებას ოზურგეთის მაზრაში და მდებარეობს ზურიის იმ აღმოსავლეთ-სამხრეთის ნაწილში, სადაც აჭარა-ზურიის მთას უერთდება ნიგოითის ქედი.

სურების საზოგადოება თითქმის ყველა სხვა ოზურგეთის საზოგადოებაზედ დიდია, მაგრამ ყველაზედ უკანკი სდგას ყოველის მხრით. ჯერ ბუნებისაგან დასჯილა ეს საზოგადოება, გამოსახრჩობსავით არის ჩაკეტებული, როგორც ზემოთა ვსთქვით, ორ დიდ მთებ შუა და მერე არის ძლიერ კლდიანი ქვეყანა, რის გამოც აქაური მცხოვრებნი ძლივს ირჩენენ თავს. ამას გარდა აქ არ არის არაერთარი სწავლა-განათლება და ნაყოფი კი ამ უსწავლელობისა და გაუნათლებლობისა, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც დიდია.—მთელს საზოგადოებაში, რომლის მცხოვრებლების რიცხვი 400 კომლამდის მიაღწევს, ორმა-სამმა კაცმა ძლივს იციან უბრალო ქართული წერა-კითხვა; განათლებული და ხეირიანათ ნასწავლი კაცი სრულიადაც არ მოიპოება აქ.

თითქმის სულიერი მამებიც მოკლებულნი არიან უბრალო ქართულის წერა-კითხვის ხეირიანათ ცოდნაა; ერთის სიტყვით, სწორეთ ველურ და მხეცურ მდგომარეობაში არის სურების საზოგიდოება.

შესაწუხებელი და სალაპარაკო ის არის, რომ უსკოლობას გარდა სხვა ათას ნაირი უბედურებაც აწევს კისერზედ საწყალ სურებლებს. სხვას თავი დავანებოთ და საჭიროა ითქვეს ორიოდე სიტყვა აქაურ სამართლიანობაზედ და მოსამართლე პირებზედ.

არ ვიცი რა სიტყვები უნდა იხმაროს კაცმა, რომ ცხადათ გამოხატოს მკითხველის წინ სურებში სამართლიანობის დაცემულობა და მოსამართლე პირთა სინდისზედ ხელის აღება, განსაკუთრებით მამასახლისისა. ბ. მამასახლისი სრულებით არ ასრულებს თავის მოვალეობას და დანიშნულებას; ის სრულებით არ ზრუნავს ხალხის წარმატების და კეთილ დღეობისათვის, მაგ. აქ არ არის ისეთი გზა, რომელზედაც ცხენოსან კაცს შეეძლოს გაელა, ამისათვის ის არ იწუხებს თავს. მამასახლისს თავის მოვალეობათ და დანიშნულებათ სულ სხვა საქმე გაუხდია, ე. ი. ქრთამი. მას მარტო ის ესიზმრება და ელანდება ყოველი საქმის გაკეთების დროს თავის საზოგადოებაში. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მამასახლისმა რომელიმე გლეხის საჩივარს ნამდვილის თვალით და სინდისის თანახმად შეხედოს; ის მისელისათანავე, მომჩივანს ვაჭრობას უმართავ ქრთამზედ. თუ მომჩივანმა ბლომათ დაპირდა საჩუქარი, მაშინ კაი იმედს აძლევს. მერე იბარებს მოპასუხესაც. მოპასუხემ თუ მომჩივანს გადააჭარბა ქრთამით, უკანასკნელმა ნიორიც უნდა გამოიღოს პირში და მკაცრი სასჯელიც მიიღის, თუგინდ მართალი იყოს. ჩვენი მამასახლისის ამ ნაირ ბოროტ-მოქმედების დასამტკიცებელად შეიძლება ერიცხვი მაგალითის მოყვანა, მაგრამ მე მხოლოდ ერთს დავასახელებ, რომელიც მან ჩაიდინა ამ პატარა ხანში და რომელიც მე თვითონ ვიცი. ერთმა გლეხმა მეორეს ადგილის საზღვრები ამოუყარა და იქვე ადგილის პატრონის ცოლს სცემა; ამ საქმეზედ მობრძანდა მამასახლისი; უშველის სიტყვებით გალანძღა, ბრალდებული და სამიდღის საპყრობილეში ჩაჯდომაც გაუჩინა; მაგრამ, როცა ბრალდებულმა გლეხმა ხუთი მანეთი მიართვა ქრთამათ, მაშინ კი დაიმშვიდა გული და გლეხიც განათავისუფლა მისიგანვე დანიშნულის სასჯელისაგან.

ასე ამ ნაირათ სურებში სამართალი ღრმა ძილით არის ჩაძინებული და მის მაგივრათ შეუსხამს ფრთა ცრუ-სამართალს და ამ ცრუ-სამართლის წყალობით ყოველ ნაირი მტყუანი კაცი უნდა მოელოდეს თავის გამართლებას. საჭიროა, რომ მამასახლისის ამ ნაირ ბოროტ-მოქმედებას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება, ვის მოვალეობასაც ეს შეადგენს, და დაგვიხსნას ჩვენ სურებლები მტარვალ-მცარცველ უფროსისაგან.

სურებელი.

პასუხი ბატ. ჩიკოიძეს

165 №-ში პატივცემული გაზეთის „დროებისა“ მე წავიკითხე „წერილი რედაქტორთან“ ზორის მაზრის სამართველოს საქმის მწარმოებლის ბატ. ა. ჩიკოიძისა, რომელშიაც ავტორი შესდგომია თავის უფროსის **ვითომც** გამართლებას, მაგრამ, წარმოიდგინეთ, იმის სიმამაცეს იქამდის მიუღწევია, რომ უფროსის ცოდვებში თვითონაც კი თავი ამოუყვია.

იმედი მაქვს, ბატონო რედაქტორო, ნებას მომცემთ ავხადო ფარდა ერთხელ კიდევ იმ ამბავს, რომელიც ამას წინათ ჩემს კორრესპონდენციაში იყო მოყვანილი და დავანახო პატივცემულ მკითხველებს ზოგიერთა არამკითხეს სითამამე და სიპატიოსნე. ამასთანავე უნდა ვაღვიარო ისიც, რომ ამ ჩემს წერილს ექმნება მიზნათ არა ის, ვითომც ჩემი უფროსისაგან ეელოდე ამის წერით რაიმე ჯილდოს, როგორც ზოგიერთები, არამედ დავანახო სარკეში ყველა მკითხველს ის, რაც ბატ. ჩიკოიძის მაუდის ქვეშ მიმალულია.

„დროების“ 159 №-ში მე მქონდა ორიოდე სიტყვა ბატ. ზორის მაზრის უფროსის უკანონო და გაუგებარ მოქმედებაზედ; იქ მე ვსწერდი, რომ მაზრის უფროსმა გაუგზავნა ხიდის-თავის მამასახლისს ბრძანება, რომელშიაც ეწერა, რომ მამასახლისმა **სამ** მკათათვეს სალამოს წარმოადგანოს ზორში **ათი ურემი** ყვავარ ხარიანი ბარგის წასაღებად რუისამდე, რაც მამასახლისმა სიტყვითი-სიტყვამდე შეასრულა, მაგრამ ნუ ბრძანებთ ბატ. **დელოპროიზვოდიტელს** ჩიკოიძეს ათი ურემი ყვავარ-ხარიანი ოც ურემ ულელ ხარიანათ მიაჩნიათ თურმე. დასამტკიცებლად ამოვსწერ სიტყვითი-სიტყვამდე ბატ. ჩიკოიძისაგან მამასახლისთან გაგზავნილ ორივე ბრძანებას, რომ ჩემი სიტყვები დამყარებულნი იყვნენ ფაქტზედ. პირველი ბრძანება:

„ფრიად საჭირო ბრძანება—ხიდის-თავის საზოგადოების მამასახლისს.—ოთხ მკათათვეს დილით, ადრე, ზორიდგან მიდის პოლკი, ამისათვის გიბრძანებ სამს მკათათვეს სალამოს წარმოადგინე ზორში ათი ურემი ყვავარ-ხარიანი ბარგის წასაღებათ რუისამდე.“

მეორე ბრძანება:

„ფრიად საჭირო.—ხიდის-თავის მამასახლისო! შენ გქონდა მოწერილობა წარმოგედგინა გუშინ სალამოს ოცი ულელი ხარიანი ურემი, შენ წარმოადგინე მხოლოდ ოთხი ურემი სასწრაფოთ გიბრძანებ ამავე საათში წარმოადგინე დანარჩენი თექვსმეტი ურემი.“

(ხელ-მოწერილია, როგორათაც მაზრის უფროსისაგან, ეგრეთვე ჩიკოიძისაგანაც.)

ამ ნაირად პირველ ბრძანებაში ბატ. „დელოპროიზვოდიტელი“ უბრძანებს მამასახლისს ათი ყვავარ-ხარიანი ურმის წარმოდგენას ზორში; მეორე ბრძანებაში კი უჯავრდება — რატომ ოცი ურემი ულელ ხარიანი არ წარმოადგინეო.

მკითხველმა გაგვასამართლოს ეხლა ჩვენ ყველანი: დიდი ბატონი დელოპროიზვოდიტელი, მე და დაჩაგრული მამასახლისი. მამასახლისი სამ მკათათვეს სალამოს არდგენს ზორში ათ ურემ ყვავარ ხარიანს, რასაც მთელი ხიდის-თაველები და იმათთან მეც, თუ საჭიროება მოითხოვს, დავამტკიცებთ; მამასახლისი ბრძანების კანონიერად შესრულებისათვის ისჯება ციხეში დატუსაღებით; მე ამ **კანონიერ** მაზრის უფროსის მოქმედებაზედ ვატყობინებ „დროების“ მკითხველებს, რისთვისაც ბატ. ჩიკოიძისაგან ვიღებ დიდს და უშველებელს საყვედურს: ჩვენ უმანკო მტრედებზე რათ ლაპარაკობს. რჩება უსასჯელოთ და უსაყვედუროთაც მარტო ბატ. ჩიკოიძე, რომელმაც არ იცის, რომ ათი ურემი ყვავარ-ხარიანი სრულებით არ ნიშნავს ოც ურემს ულელ ხარიანს და რომელიც მამასახლისს ასწავლის, რომ ათი ურემი ყვავარ ხარიანი და ოცი ულელ ხარიანი ერთი და იგივე არისო.

მგ პირველი. მეორე, ვკვირვობ და ვგონებ გასაკვირველიც იყოს ის მოვლენა, რომ ბატ. ჩიკოიძეს ვერ გადმოუწერია მამასახლისთან გაგზავნილი ბრძანებიდგან ისრე, როგორც იმაში ეწერა, არამედ რაღაც თავის დამატებით როგორც მაგ. მამასახლისის ბრძანებაში სრულიად არ სწერია, რომ პოლკი მიდის ზლადიკავკაზს, ან... წარმოადგინე ზორში ათი ურემი ყვავარ-ხარიანი, ანუ ოცი ულელ ხარიანი, ეგ ოცი ურემი ულელ-ხარიანი სიზმარში თუ ნახა ბატ. ჩიკოიძემ, თორემ ცხადად პირველ ბრძანებაში ეგ მამასახლისს არ უნახავს.

მესამე, გაზეთში ჩიკოიძე აცხადებს, მამასახლისმა ზორში მხოლოდ შვიდი ულელ ხარიანი ურემი წარმოადგინაო, როდესაც მეორე ბრძანებაში, როგორც ზემოთ მკითხველებმა დაინახა, მამასახლისს უჯავრდება, რატომ მარტო ოთხი ურემი წარმოადგინეო. ეხლა თქვენ გეკითხებით ბ. ჩიკოიძე: არის რაიმე განსხვავება **ოთხში** და **შვიდში**, თუ არა? ესეც კორრესპონდენტის შეცდომაა??

მეოთხე, ბ. ჩიკოიძე ბრძანებს, რომ მამასახლისმა მაზრის უფროსს მოახსენა: „ურმები სრულიად გამოვგზავნე, მაგრამ ვერ მოეგნოთო“. და მერმეთ, ვითომც გაჯავრებული, დიდის ამბით მეუბნება: „გესმით, ბატონო X, ხიდის-თაველებმა ვერ გამოიგნეს ზორის გზა!!!“ მესმის; ხიდის-თაველებს ვერ მოეგნოთო, ამბობს მამასახლისი, ე. ი. მაზრის სამმართველოს ვერ მიაგნეს, ანუ უკეთ ვსთქვათ, ბ. დელოპროიზვოდიტელს, რომელ გვერდზე ეძინა, ის ვერ გაიგეს და არა ზორის გზა. მე თქვენ გეთანხმებით იმაში, რომ ხიდის-თაველებმა თქვენზე უკეთ იციან ზორის გზა და იქმნება სხვა ბევრი რამეც.

ველა ზემო ნათქვამიდგან ბ. ჩიკოიძეს გამოყავს ის უაზრო დასკვნა, რომ მამასახლისი ღირსია დასჯისა, როგორც ბრძანების აუსრულებლობისათვის, (რის გამო პოლკს მარშრუტი შეუცვალა) და სიცრუისათვის და კიდეც დასაჯა მაზრის უფროსმა დატუსაღებითო.

მე კიდევ ამას მოგახსენებთ, რომ, ჩემის აზრით, ბ. ჩიკოიძეა ღირსი დასჯისა პირველად პოლკის მარშრუტის შეცვლისათვის, რადგანაც, როგორც, დავინახეთ, იმან არ იცის, რას სწერს თავის ბრძანებაში და მეორეთ—თავის საქმის უცოდინარობისათვის.

რაც შეეხება იმას, რომ მამასახლისი შეჩვეულია სატუსაღოში ჯდომას, ეგ ხომ თქვენი წყალობაა! ჩვენც ხომ მაგას გიჩვენეთ! თქვენ, თქვენი საქმის ვერა გაგიგიათ და მამასახლისიც ისჯება ისრე კანონიერად, როგორც ამ საქმეში. მგ, ჩემის ფიქრით, სრულებით არ ამტკიცებს თქვენს სიმართლეს.

რაც შეეხება ჩემა კორრესპონდენციის მეორე ნაწილს, იმაზედ კიდევ უნდა მოგახსენოთ ის, რომ ეგრეთი სიცრუე სათაკილოც არის; ეგ საქმე თქვენ პირველ საქმეზე უკეთ თუ ეარა, ნაკლებ მაინც არ უნდა იცოდეთ, რადგან ბევრწითლებმა თქვენს უმფროსს უჩივლეს ბ. თბილისს გუბერნატორთან თვის წართმევაზედ, გუბერნატორი პასუხს თხოულობს და ის საქმე თქვენს სტოლზეა; და კიდეც თუ არ იცით, ამაში კიდევ თქვენ ბრძანებით გასაკიცხი, იცოდეთ. ხოლო ჩემი სიმართლე თვის შესახებ ისეთივეა, როგორც ურმების შესახებ,

და ეხლა კი, რამტელათ მართალი ვარ ამ საქმეშიაც, ამის განმარტება ორიოვემ მკითხველს მივანდოდ.

დასასრულ ნება მომეცით, ბატონო რედაქტორო, ორიოდე სიტყვა მოვახსენო იმ პირთ რომლებიც არა მკითხე მიამბესავით ესარჩლებიან სხვებს, რომელთაც თავიანთ თავი ვერ გაუმართლებიათ და სხვების გამართლებაზედ იმტვრევენ თავს. ყველა კაცისთვის ელემენტარული და უბრალო ანბანური რამ არის ის ამბავი, რომ ყველა ჩვენთაგანი ვიცავდეთ ჭეშმარიტებას, სიმართლეს; ჩვენი უფროსების უკანონო მოქმედების მიმალვით არ უნდა ველოდებოდეთ წინ წასვლას, ამაღლებას; ის კაცი ამ ქვეყნის მოღალატეა, რომელსაც მუდამ თავს უბრუებს საკუთარი ინტერესები.)

ალექსანდრე მაღარსკი.

28 აგვისტოს.
ქ. გორი

განცხადებანი

მოწყალეო ხელმწიფეო,

ბეგლარ-ბეგ მელიქ-ბრიგორიან!

ბალად ვრაცხ გამოგიცხადოთ თქვენ გულითადი მადლობა და საყოველთაო საცნობოთ გაეხადო, ბეჭდვის შემწეობით, ის სარგებლობა, რომელიც მე თქვენ მომიტანეთ, რა გამკურნეთ დიდის ხნის სხვა-და-სხვა გვარ ავათმყოფობისაგან, მაგალითად განმათავისუფლეთ ბუასილისაგან, თავში სისხლის ავარდნისაგან, რომელიც მჭირდა ხშირად მუცელში შეკრულობისა და კუჭის ავათმყოფობის გამო თავ-ბრუ დასხმისაგან, მადის დაკარგვისაგან, სუნთქვის შეხუთვისაგან, ფილენჯის ქერებისაგან, მუდამ გულ-დაშულბის და დროთი ძლიერ სისუსტისა რევმატიზმული ტკივილისაგან, რომელთაც ამ უკანასკნელ ჟამს შეარყიეს მთელი ჩემი აგებულება. ამასთანავე ვაძლევ ჩემ თავს ნებას, ვარწმუნებ ყველა იმ პირთ რომელნიც ამ ზემოხსენებულ სენთაგან არიან შეპყრობილნი, რომ თქვენ ექიმობაზედ უკეთესი საშუალება მე არ გამომიცდია, ბ. ბეგლიარ-ბეგ, რომ თქვენმა წამლობამ მცირე ხანში ყოვლად ჩინებული ზედმოქმედება იქონიეს ჩემზედაც.

ბულღიათ ეაღვიარებ თქვენდამი ჩემს მადლობას, რადგანაც მე არა ერთხელ ვიხმარე რამდენიმე საშუალება და ყველამ ფუჭად ჩამიარა; მაგრამ თქვენ მოგმართეთ თუ არა, ამ უკანასკნელ ხანში, სრულიად მოვრჩი..

ბთხოვთ მიიღოთ რწმუნება ჩემდამი თქვენი პატივისცემისა და სამსახურისა

მებატონე გორის მაზრისა.

თ. თომა კოსტანტინეს ძე ციციშვილი.

ბ. მელიქ-გრიგორიანი იმყოფება მუდამ ქ. თბილიში, საპოორის ქუჩაზედ, ბ. არუთუნოვის სახლში, სამხედრო გიმნაზიის პირ-და-პირა და გიმაროის გარდა ის დიდის წარმატებით არჩენს სხვა-და-სხვა ქალის სნეულობას, თვალების, სიფილისტიურ და ბევრ სხვა სნეულებებს.

თ. თ. ციციშვილი.

12 ენკენისთვეს. 1881 წ.
სოფ. ცხისი.
(გორის მაზრის.)

თფილისის საგაჟო I გიმნაზიის ჰედაგოგიური რჩევა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ენკენისთვის 27-ს იქნება ამ გიმნაზიის 50 წლის არსებობის დღესასწაული (ლიუბილეი) და ამის გამო სთხოვს ყველა ამ გიმნაზიის ადრინდელ შაგირდებსა და აგრეთვე ყველას, ვინც განათლების საქმეს თანაუგრძნობს, მობრძანდეს დღესასწაულზე.

იმავე დღეს გიმნაზიის საქტო ზალაში გამართული იქნება ასი კაცისათვის სადილი ცალკე დაჰატიჟებით.

28 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე, გიმნაზიაში გამართული იქნება საუმაწვილო საღამო, რომელზედაც შაგირდების ძმობლები და ნათესავები იქნებიან დაჰატიჟებულნი.

(5—2)

ქუთაისის მოქალაქე
პეტრე ხელთესოვი

აცნობებს რა ჰატივცემულს საზოგადოებას, რომ ის ჭსნის ქუთაისში სასტუმროს, მისაილოვის ქუჩაზედ, ხეჩინოვის სახლებში, ფირმასა ქვეშ „ერმიტაჟ“, კარგის მოწყობილის მებელით, იაფ ფასად.

(4—4)

ლონდონის მაღაზია კომერციულ ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი შოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩო კებისა, ტსვირ-სახოტისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩვინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანას გიარები. (100—26)

ჩაის მცოდნე ჰირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, ჰირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ეველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქალალდოთ და უტუვიოთ.

(100—38)

დაიბეჭდა და ისყიდება გრიბოედოვის მაღაზიაში

ადსნა ლოტვებისა, სიმოკოლ-სარწმუნოებისა და მცნებებისა

სასოფლო, საერო და სამოქალაქო სასწავლებელთათვის

შედგენილი ალეკსანდრეს ალეთა მხარის სამოსწავლებლო სემინარიის საღრმთო სჯულის მასწავლებლის მღვდლის ლაზარე ტურიევისაგან.

ფასი—20 კაპ.

იბეჭდება და მალე გამოვა მღვდლის ტურიევისავე: სასულმძღვანელო საღრმთო ისტორიისა ძველის და ახალის აღთქმისა სურათებით.

(6—6)

ბრიკეროვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

ფოთი-თფილისის რკინის გზა

ფოთი-თბილისის რკინის გზის სამმართველო ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სექტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის და უკანვე წამოსასვლელად დანიშნულნი არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის იმ რიგით, მატარებელში კი, რომელნიც მუდმივ მიდივ-მოდიან —იგინი არ მიიღებიან.

30 სექტემბერს

თბილისიდამ ღამისა 6 საათზე.				მცხეთიდამ ღამისა 7 საათ.			

1-ლს ოქტომბერს

დილისა	6	საათზე	53	მინუტზე	დილისა 8	საათ.	11 მინ.
	8	საათზე	13	მინუტზე	9	საათ.	11 მინ.
	10	საათზე	01	მინუტზე	11	საათ.	01 მინ.
	11	საათზე	03	მინუტზე	შუადღისას 12	საათ.	05 მინ.
შუადღ.	12	საათზე	10	მინუტზე	2	საათ.	15 მინ.
	1	საათზე	24	მინუტზე	4	საათ.	25 მინ
	3	საათზე	13	მინუტზე	5	საათ.	22 მინ.
ღამისა	6	საათზე	13	მინუტზე	ღამისა 7	საათ.	14 მინ.
	7	საათზე	17	მინუტზე	8	საათ.	18 მინ.
	8	საათზე	21	მინუტზე	9	საათ.	55 მინ.
	9	საათზე	58	მინუტზე	11	საათ.	05 მინ.

რომ ადრინდელივით ვიწროობა და უწესობა არ იქნას. ბილეთების გაყიდვის დროს ბილეთები გაიყიდება მარტო თბილისის სტანციაზე მცხეთაში წასასვლელად და წამოსასვლელ-ათ ვინც იყიდის ბილეთს მცხეთამდის ის ვალდებულია, თბილისში წამოსასვლელი ბილეთიც იყიდოს. ამ ბილეთებით შეიძლება მოგზაურობა მარტო იმ ეკსტრენნი მატარებლებით, რომელნიც 30 სექტემბერს და 1 ოკტომბერს მცხეთასა და თბილისს შუა ივლიან.

რადგანაც თითოეულს ჰოეზდზე იქნება: 1 კლასში 48 ადგილი, 2 კლასში—128 და 3 კლასში 600, მოგზაურებს არ შეუძლიათ საუვედური განაცხადონ, როცა ეს ადგილები მთლათ დაჭერილი იქნება და უნდა უცადონ სანამ სხვა ჰოეზდს დაამზადებენ.

იმ მოგზაურებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთაში, მეიდანზე, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს საძსეერო შუბიკა, დილის თერტმეტ საათიდამ ღამის თერტმეტ საათამდინ. (3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. ზამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი